

**თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2018 წლის პროგრამა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.
2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2018 წელი – 31 დეკემბერი 2018 წელი.
3. პროგრამის ბიუჯეტი: 160 000 (ასსამოციათასი) ლარი.
4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.
5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

**მუხლი 2. პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს, რომელთა საარსებო პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, უმუშევრობით გამოწვეული პრობლემები იმდენად მძიმეა, რომ საჭიროებენ თანადგომას.

**მუხლი 3. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა**

ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს დახმარება მიეცემათ არაუმეტეს 200 ლარისა ერთჯერადად.

**მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები, იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები, ობოლ ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე), ოთხი და მეტ შვილიანი ოჯახები, იშვიათი დაავადების მქონე პირთა ოჯახები, გადაადგილება შეზღუდული შშმ პირთა ოჯახები, ვეტერანთა ოჯახები, აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახები.

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია**

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

- ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.
- ბ) ავადმყოფობის შემთხვევაში ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100/ა) გაცემული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.
- გ) ქვემდებარე კონტიგენტის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.
- ე) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ლიბერთი ბანკიდან.

**მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი.
2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე, მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

